ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 97251972
თარიღი:16/07/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი N07

დ.ლენტეხი 15/07/2025წ.

მიმდინარე წლის 15 ივლისს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომას ესწრება ბიუროს 14 (თოთხმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრება 4 (ოთხი) წევრი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელის მ/შ ნაირა ლიპარტელიანი.

ბიუროს თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.**,,2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N18 დადგენილების N1 დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ.**

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ.**

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2025 წლის ექვსი თვის ანგარიშის შეფასების შესახებ.

/მომხს: მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

4.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2025 წლის ექვსი თვის ანგარიშის შეფასების შესახებ.

/მომხს: მერიის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი/

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი - საკრებულოში შემოსულია ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის გია ონიანის მომართვა -.**,,2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N18 დადგენილების N1 დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ.**

მომართვას თან ერთვის შიდა აუდიტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გერმან ქურასბედიანის მოხსენებითი ბარათი - მერიის შიდა აუდიტის სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის, მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის მარიკა გუგავას ამავე სამსახურის რეკომენდაციით მონიტორინგის განყოფილებაში თავისივე პოზიციით გადაყვანის შესახებ. ასევე შემოსულია მერიის კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსის ლალი გაზდელიანის განცხადება, სადაც აღნიშნავს, რომ განყოფილებაში არ ჰყავს უფროსი სპეციალისტი და ითხოვს მერიის სტრუქტურაში მოახდინონ ცვლილება და დაუმატონ თანამშრომელი- უფროსი სპეციალისტი. მერიიდან შემოსულია დადგენილების დანართი, სადაც ასახულია თანამშრომლების გადაყვანა თავისი პოზიციითა და ხელფასით მითითებულ თანამდებობებზე.

ბიუროს თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე

მომხრე-14;

წინააღმდეგი-0.

გადაწყვიტეს: აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი განხილვები არ ყოფილა.

საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა .

კენჭისყრის შედეგებით:

მომხრე -14;

წინააღმდეგი - 0.

გადაწყვიტეს: მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით:

ბიუროს სხდომა დამთავრდა 12 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი